1917
1968




№ 21 (1295) ნოემბერი 1968

# ნიანგი

გამოდის 45-ე წელი ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევოლუციის ალბომიდან



— გარბიხართ, ბატონო?
— აგა, მაგ ორთავიანი არწივივით მართლა ორი თავი კი არ მაბია!



ტანსაცმლის საკიდი (1917 წლის ნიმუში)

ნახ. ჯ. ლოლუასი




— გარსონ! უთხარით რაიმე ისეთი დაუკრას, გულზე; რომ მომხვდეს!
— კეთილი, ბატონო, ინტერნაციონალს დაუკრავენ.

# საზეიმო რეპორტაჟი

კვლავ მოედო კიდით კიდეს გამარჯვებულ ხალხთა ვაშა,
მოდით, ნახეთ უძლეველი საზეიმო დროშის გაშლა.
მოდით, ნახეთ ჯერ არნახულ მიღწევათა გამოფენა,
კოსმოსური ხომალდების წამოშლა და წამოფრენა,
სასწაულად გარდაქმნილი ჩვენი მიწა და ბუნება,
მთვარის დისკოს ზონდირება და უკანვე დაბრუნება.

ნახეთ ხალხი, გმირი ხალხი, ღირსეულზე ღირსეული,
კომუნიზმის ხარაჩოებს ფუტკარივით მისეული.
ეს ხალხია რომ ამრავლებს ქვეყნის ხვავს და ქვეყნის დოვლათს,
ვინც მშვიდობის სახე მისცა მოზღვავებულ თუჯს და ფოლადს.
მათ ჩამოხსნეს კოსმოსს კარი, გალაქტიკა დაარბიეს,
ვარსკვლავები ჩამოყარეს, გმირებს მკერდზე დააბნიეს.
ზღვა დალაშქრეს, ცა დალაშქრეს, ბარს სიცოცხლე დაუმკვიდრეს,
უდაბნოში წყალი მისცეს გაღვივებულ ტოტს და კვირტებს.

როცა მტერი კარს მოგვადგა, წარბიც კი არ შეიხარეს,
სამშობლოსთვის თავი დასდეს, უფრო მეტად შეიყვარეს.
დაავიწყეს დუშმანს ქვეყნად ბატონობის პრეტენზია,
ვისაც მოხვდა მაშინ ყბაში, დღესაც ბიულეტენზეა.
მოდის ხალხი მოზეიმე, ტალღა ტალღას ემატება,
დაილოცოს მათი საქმე, მათი გზა და შემართება.
აგერ ჩვენი მშენებლები, რა ფონდი არ გაადიდეს,
ცათამბჯენი წამოჭიმეს, რომ ცხოვრება გაადვილდეს.
რა ბინებშიც შეგვასახლეს, ნაკლი ვერსად შევამჩნიეთ,
და რაც ვნახეთ, ნაკლად არ ვთვლით, თვალი ისე შევაჩვიეთ.

აგერ ჩვენი ექიმები, მედიცინის მუშაკები,
სიცოცხლის და ჯანმრთელობის მოუღლელი გუშაგები.
რა სატკივარს არ უშველეს, რა სენი არ დაამარცხეს,
თვით სიკვდილიც ბევრჯერ დასცეს და მიწაზე დაანარცხეს.

მოდის ხალხი, მოდის დროშის ტევრები და კორომები,
მწერლები და პოეტები, მეცნიერთა კოლონები.
დიდება მათ, მათ ნათელ გზას, მათ ნიჭსა და სიტყვის ძალას,
ვინც სულიერ საზრდოს გვაწვდის, ვინც ძნელსავალ გზას გვიკვალავს.
მათი ღვაწლი და ამაგი უთვლელი და ულევია,
ისე რომ ვთქვათ... ბევრ კარგ წიგნში, ცოტას წყალიც ურევია.
ეს ხუმრობით, თორემ ჩვენში ნაკლი როგორ გამოჩნდება,
რომ გამოჩნდეს, ვინ გაუშვებს, კაცის თვალს რა გამორჩება?
ნაკლს და ხარვეზს ან რა უნდა გმირი ხალხის ნაკვალევზე,
ამ ზეიმის ნათელ ფონზე, ამ დიდებულ აკვარელზე.

ჩვენ მშვიდობას ვიცავთ ქვეყნად და სიმწარე არ გვსურს ვნახოთ,
დღეს ჩვენ გვინდა საზეიმოდ მთელ მსოფლიოს გადავძახოთ:
მოდით, ნახეთ უძლეველი, საზეიმო დროშის გაშლა.
მოდით, ერთად შევაერთოთ ჩვენი ვაშა, თქვენი ვაშა.
კაცი კაცის სიყვარულში თუ არასდროს დაიღლება,
ძმათა სისხლი ქვეყანაზე მაშინ აღარ დაიღვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ შეხვდა ყაზბეგი იალბუზს

შეიძლება საქართველოში ყველა არ იცნობდეს ყაზბეგ საკაევს, მაგრამ სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის საკმაოდ პოპულარულია ეს გვარი. ყაზბეგი თავისი ინჟინერ-მექანიზატორის დიპლომით ხან ერთ დაწესებულებაში იწყებდა მუშაობას და ხან მეორეში. ხან თანამშრომლებს დასცინცლავდა ფულს და ხან სახელმწიფოს. ასე ატარებდა ამ წუთისოფელს ყაზბეგი.

აღარ დაედგომებოდა ყაზბეგს საქართველოში. დასდევდნენ, ფულის დაბრუნებას თხოვდნენ, უჩიოდნენ.

ყაზბეგმა დაჰკრა ფეხი და ახლა ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ში ამოჰყო თავი.

— მე ყაზბეგ საკაევი, ვარ, ინჟინერ-მექანიზატორი, მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს, აი ჩემი შრომის წიგნაკი, ნახეთ რა უბანს არ ვხელმძღვანელობდი, აი ჩემი დიპლომი, რაო დახასიათებაო, მე ვინ მომცემს დახასიათებას, სად გამიშვებენ, რომ იცოდნენ აქა ვარ, საშველს არ მომცემენ, მომიტაცებენ და უკან წამიყვანენ.— იფიქრეს მართლა არ მოგვტაცონო და სასწრაფოდ ბრძანება გააშანშალეს:

„დაინიშნოს ყაზბეგ ვლადიმერის-ძე საკაევი ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ს ქ. ბესლანის სოფლტექნიკის ვაჭრობის განყოფილების უფროსად“.

საგულდაგულოდ გაუთოებული ქათქათა თეთრი პერანგი, გახამებული საყელო, ოსტატურად შეკრული ჰალსტუხი და წარბები, ჩაფიქრებული, სიტყვაძუნწი და საქმიანი, — ასეთი წარსდგა ყაზბეგ საკაევი თავისი თანამშრომლების წინაშე, რომლებმაც მალე ფეხისწვერებზე დაიწყეს სიარული.

უცბათ მოპოვებული ნდობა კიდევ უფრო იზრდებოდა და ერთ დღეს იგი დამოწმებულ მინდობილობად იქცა:

მიეცეს ესე მინდობილობა ყაზბეგ ვლადიმერის ძე საკაევს, მასზედ, რომ მან შეიძინოს ქ. გორკში ოცდახუთი ათასი მანეთის (25.000 მან.) მ-21--სა და გაზ-69-ის ნაწილები“.

— თქვენს განკარგულებაშია სატვირთო მანქანა, მძღოლი იალბუზ ალდატოვი გამოცდილი კაცია, ხშირად ყოფილა გორკში, გზა არ შეეშლება, კეთილი მგზავრობა, მშვიდობით დაბრუნება, აბა, თქვენ იცით!

ასე შეხვდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში კავკასიონის ორი დიდი მწვერვალი — ყაზბეგი და იალბუზი ერთმანეთს.

ყაზბეგმა გორკშიც დაატრიალა თავისი მარიფათი, ზოგს გაუღიმა, ზოგს შეეხვეწა, ზოგს დაუბღვირა, ზოგთან კი არაყიც გადაკრა და მინდობილობით გათვალისწინებული ნაწილებით დატვირთა მანქანა.

იალბუზი მოიხიბლა ყაზბეგით. გზა გრძელი იყო და ყაზბეგმა იალბუზის დაყოლიება ერთი საათის სავალზე შეძლო.

— ნაწილებს ქუთაისის შავ ბაზარზე გავყიდით, სუფთა მოგება 42.000 მანეთი დაგვრჩება. შენ წილად 10.000 წაიღე, დანარჩენის დარდი ნუ გაქვს, ყველაფერს მე მოვახერხებ.

ცდუნება დიდი იყო და მოიდრიკა მწვერვალი — იალბუზმა ვერ გაუძლო.

საკაევმა და ალდატოვმა მანქანა გორში, სასტუმრო „ინტურისტის“ ეზოში შეაჩერეს და თვითონ რესტორანში წაიხემსეს.

რესტორნიდან გამოსულ საკაევს ხუთი მოქალაქე დაუხვდა წინ და მუდარა დაუწყეს — თუ კაცი ხარ, გვიქენი სიკეთე და მანქანის ნაწილები მოგვყიდეო.

საკაევს არ უუარია, გაჩაღდა ვაჭრობა, მაგრამ ფასში ვერა და ვერ მორიგდნენ.

— რას ამბობთ, რას! ოქროს საქონელი ჩალის ფასად გინდათ იყიდოთ? აბა, მოუსვით აქედან! — იგრგვინა ყაზბეგმა. მუშტრები მაინც არ ეშვებოდნენ.

— იცოდეთ, მილიციას გამოვუძახებ! — ახლა უკვე მუქარაზე გადავიდა საკაევი.

— ნუ შეწუხდებით, თქვენ გელაპარაკებათ მილიციის კაპიტანი მეტრეველი, ხოლო გევაჭრებათ კაპიტანი ქორჩაშვილი და ლეიტენანტები ჯოლბორდი, გოდერძიშვილი და წერეთელი!

აქამდე თუ საქართველოშიც ყველა არ იცნობდა საკაევს, ახლა იგი ჩრდილოეთ ოსეთშიც გაიცნეს. ასე დამთავრდა ინჟინერ-მექანიზატორ-მანქანიზატორ-მაქინატორ ყაზბეგ საკაევის კარიერა.

შალვა ვანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა


ნახ. ჯ. ლოლუაშვილი

დამშენებით გატაცება.

# სალამი ლიმიტით

სიმონ დიმიტრიჩი სალმიან კაცად იყო ცნობილი. არ ეზარებოდა, მისალმებისას ტანი გარკვეული კუთხით დაეხარა და ზედ ცოტაოდენი ღიმილიც დაეყოლებინა.

— ყველასთან რომ აბნევ სალამს, თავი დაიფასე, ფაბრიკის მთავარი ბუღალტერი ხარ... — უსაყვედურა ერთხელ ცოლმა.

სიმონ დიმიტრიჩმა ცოლის რჩევით გადაწყვიტა სალამზე ერთგვარი „ლიმიტი" დაეწესებინა.

— მართლაც ყველას რომ ახკილივით თავი ვუქნიო, არ ივარგებს, — თქვა და სპეციალური სია შეადგინა, ვისთვის და რა ფორმით მიეცა სალამი.

— აბესალომი არ გინდა, ამოიღე! მართალია, მეზობელია, მაგრამ უბრალო კაცია, რაში გამოგადგება! — შენიშნა ცოლმა სიის მორიგი დაზუსტების დროს.

აბესალომი და სიმონ დიმიტრიჩი თითქმის ყოველ დილით ხვდებოდნენ ერთმანეთს სამუშაოზე წასვლისას. აბესალომი მუყაოთ მუშად ითვლებოდა, დაუსწრებლად უმაღლესშიც სწავლობდა.

— ამოვიღოთ — ამოიხვნეშა სიმონმა, როცა აბესალომის გვარს გაუსწორდა და მსხვილი წითელი ფანქარი მოიმარჯვა...

მეორე დილით სახლის წინ აბესალომს შეეჩეხა. საწყალმა აბესალომმა რა იცოდა, რომ „უბედურება" დაატყდა თავს და სიიდან ამოღებული იყო. სიმონმა სალმის უცბათ შეწყვეტა მიზანშეუწონლად მიიჩნია, გადაწყვიტა პირველ დღეს ოდნავ გაეხსნა პირი, ტანი კი, რადაც უნდა დაჯდომოდა, ვერტიკალურ მდგომარეობაში შეენარჩუნებინა.

— ეგდა მაკლია ვიღაც ლაწირაკს ამხელა თავი დავუქნიო!

მეორე დღეს მეზობელი მშრალი ღიმილის ანაბრად დატოვა, მესამე დღეს ცივად გადახედა, როგორც ბალანსზე ხელმოწერის წინ, მომდევნო დღეებში კი, როცა აბესალომი ჩამოივლიდა და დაიძახებდა, სიმონ დიმიტრიჩს ვახლავართო, მთავარი ბუღალტერი პირში წყალს ჩაიგუბებდა და ნაბიჯს აუჩქარებდა...

გავიდა წლები. ერთხელ სიმონ დიმიტრიჩი შვებულებაში წავიდა. სანატორიუმში ახალი ნაცნობები გაიჩინა, სიის სრულყოფაზე კი მუშაობა აქაც არ შეუწყვეტია. შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ მთავარი ბუღალტერი მშობლიური ფაბრიკისაკენ გაეშურა...

— ჩვენ ახალი დირექტორი გვყავს, თქვენ გელოდებათ — უთხრა მდივანმა ქალმა.

ეს სიმონ დიმიტრიჩისათვის სიურპრიზი იყო. ძველთან კარგად შეეწყო. ვინ იცის, როგორი ხასიათი ექნება ახალს, რა სწყინს, რა ახარებს... ყოველივე ამის გამოკვევას დრო სჭირდება. ფეხის წვერებზე შემდგარმა შეაღო დირექტორის კაბინეტი და კინაღამ იქვე ჩაიკეცა: მაგიდასთან მისი მეზობელი იჯდა. რას წარმოიდგენდა, რომ უბრალო მუშა დირექტორი გახდებოდა. ძალ-ღონე მოიკრიფა ფიქრებიდან გამოერკვა და მთელი შესაძლებლობით გაიღიმა:

— აბესალომ პანტელეიმონიჩს ვახლავარ, რავა გასუქებულხარ, დამშვენებულხარ, გენაცვალოს ჩემი თავი! — და ხელი. გაუწოდა; — რამდენი ხანია არ მინახავხარ, ოჯახში ხომ კარგად? არ დაცოლშვილდი? შენი ქორწილი არ გამოგვაპარო, ოქროს მეზობელო! — არ ცხრებოდა სიმონ დიმიტრიჩი.

— მე კარგად ვარ, მაგრამ შენ რა დაგემართა, სიმონ ბატონო, ამ ბოლო დროს ველარა მცნობ.

— რაღა დაგიმალო და, ახლო მხედველი ვარ, ბიძიკო, გეფიცები...

— მჯერა, მჯერა, შორსმჭვრეტელი რომ არ იყავი, ამას მეც გამჩნევდი — უთხრა ახალმა დირექტორმა.

სტეფანე მხარგრძელი

(ერთსიკვდილიანი ტრაგედია ოთხ მოქმედებად)

მოქმედება I

თამადა: დალიე, თორემ ძალით ჩაგასხამ!

I მსმელი: საქართველო გიყვარს? დედა გიყვარს? ომში დაღუპულებს პატივს სცემ? ჰოდა, დალიე!

II მსმელი: კაცის ხათრით, რომ ვკვდებოდე, მაინც დავლევ. აბა, ჰე, ოთხი კაცი შენ გიცდით!

III მსმელი: ბოლოსდაბოლოს, დიდხანს გაამლაშებ?

შემოსტუმრებული: ვერ დავლევ ბიჭებო, მოვკვდები!

ყველა (ერთად): მოკვდი!

მოქმედება II

(იგინივე და სასწრაფო დახმარების ექიმები)

არიქა, სასწრაფო!

— რას სვამდა მაგი ოჯახაშენებული, თუ არ შეეძლო?

— ასე თუ წყენდა, ვერ თქვა მაგ საცოდავმა?

— ვაი, მაგის პატრონს!

მოქმედება III

(ქელეხი. იგინივე და ჭირისუფლები).

— სილიბისტრო, ძმაო, ძალით მოიკალი თავი, ძმაოოოო!

— ხომ გეუბნებოდი, ღვინო მოგკლავს-მეთქი, ბეჩაააა!

— ღვინო ვის არ უყვარს, მარა, შენ ნამეტანი იცოდი, შე საწყალოოო!

— რა გვიქენი აგი, სილიბისტროოოო!

მოქმედება IV

(ბრეზენტით დახურული სეფა)

თამადა: საწყალს დალევა უყვარდა და ყველამ დავლიოთ, ვცეთ პატივი!

I მსმელი: სილიბისტრო გიყვარს? დედამისი გიყვარს? ოჯახს პატივს სცემ? ჰოდა, დალიე, შე კაცო!

II მსმელი: მიცვალებულის ხათრით, რომ მოვკვდე მაინც დავლევ... აბა, ჰე, 400 კაცი ჩვენ გვიცდის!

III მსმელი: ბოლოსდაბოლოს დიდხანს ივაჭრებ?

ყველა (ერთად): ხსოვნა იყოს ჩვენი ძვირფასი სილიბისტროსი!

დასასრულს იწყება სიმღერა: „ტიალო დარიალოთ", შემდეგ „მაინც ჩემი გოგონა ხარ" და „ვაიმე, ჩემო ვენახო"-ზე იხურება ფარდა.

აკაკი წიწაკაძე


ნახ. ა. კანდელაკისა

— ზაფხულის ფეხსაცმელი არა გაქვთ?
— ზამთარში სად იყავი, ბეძინა?

...დიდი ძიებისა და კვლევის შემდეგ მივაგენი მსოფლიოში ერთადერთს და ორიგინალურ თემას, რომლის ბადალი არ ყოფილა, არც იქნება და არც არის საჭირო. ჩვენი წინაპარი ვინც იყო, დიდი ხანია დაამტკიცა დარვინმა, მაგრამ ვინ იყო წინაპარი ესოდენ სასარგებლო რძის მომცემი ცხოველისა, როგორიც ძროხაა?

ცნობილია, რომ ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე წარმოიშვა წყლიდან. ამჟამად არსებობენ თუ არა წყალში ძუძუმწოვარი ცხოველები? დიახ, არსებობენ და მერე რამხელები 30-ტონიანი ვეშაპები!

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის ძიებას ვეშაპია ძროხის წინაპარი თუ ძროხა ვეშაპისა. მხოლოდ ნათელზე ნათელია, რომ ისინი ნათესავურ კავშირში არიან, რადგან ორივე იძლევა რძეს.

შეიძლება თუ არა ვეშაპის მოშინაურება და მოწველა?

რატომაც არა, ხომ წვრთნიან და ცირკის მსახიობებადაც კი გამოჰყავთ დელფინები და ზღვის ლომები!

ვეშაპისაგან ჩვენ მსახიობობას არ მოვითხოვთ, მოვითხოვთ მხოლოდ რძეს. თვალსაჩინოებისათვის მომყავს საყურადღებო ეკონომიური გაანგარიშება: სტატისტიკური მონაცემებით, ერთი ორასკილოგრამიანი ძროხა იწველის ოც კილოგრამ რძეს, 30-ტონიანი ვეშაპი კი მოიწველის იმდენჯერ მეტს, რამდენჯერაც მძიმეა ძროხაზე. ე. ი. ერთი ვეშაპი მოიწველის დღეში 3 ათას ლიტრს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ვეშაპის რძე სამჯერ უფრო ცხიმიანია, მივიღებთ, რომ ვეშაპი დღეში მოგვცემს 9 ათას პირობით ლიტრ რძეს. (ცდები ჩემს მიერ ჩატარებულია ლისის ტბაზე).

ავიღოთ თბილისის მაგალითი, სადაც ასობით ათასი მოსახლეობაა. მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ თბილისის ზოგიერთი მოქალაქე რძის მაგიერ არაყს, კონიაკსა და ღვინოს ეტანება. ამ გაანგარიშებით ათიოდე ვეშაპის რძე ჰყეპაზე იყოფათ თბილისელებს და რადგან ვეშაპის რძე ძალზე ცხიმიანია, რძის მრეწველობის მუშაკები იძულებული იქნებიან რძე წყლით განაზავონ, რომ მომხმარებლებს კუჭი არ აეშალოთ. ვეშაპების მოსაშრავლებლად საჭიროა მხოლოდ წყალი. ბოსელი მათ არ სჭირდებათ, თივა და სილოსი. ოღონდ წყალი ჰქონდეთ და თვითონ მოუვლიან თავის თავს. წყლის მეტი რა გვაქვს თბილისში და მის გარშემო: ლისის ტბა, კუს ტბა თბილისის ზღვა და ბოლოს . აგერ არაა მტკვარი! ვეშაპები თუ ისე მოვათვინიერეთ, რომ მოწველის დროს ნაპირზე გამოვლენ და წამოწვებიან, ხომ კარგი, თუ არა და, მყვინთავებს ვერ ვიშოვნით თუ!

მე, უკვე შევიმუშავე მძლავრი ელექტრო და ატომური საწველი მანქანების კონსტრუქცია. ერთ საათში ათივე ვეშაპს ჩემი მანქანა ისე გამოწველის, რომ გრამი რძე აღარ შერჩებათ მუცელში.

ვეშაპის რძის გამოყენებით ახლა სხვა რამდენი სიკეთე მოგველის? დავზოგავთ ძროხების საკვებს, თვითონ ძროხებიც მოისვენებენ, რძეს მხოლოდ ხბოები მიირთმევენ და სწრაფად გამრავლდება საქონელი. სამეგრელოში აღარ მოწველიან თხებს, ე. ი. თხებიც მოისვენებენ, უფრო სწრაფად გაიზრდება და უფრო გემრიელი იქნება ქაცარი (თიკანი). მხოლოდ ერთი რამ აქედანვე უნდა გავითვალისწინოთ — საჭიროა აიკრძალოს ვეშაპების შეძენა კერძოდ, თორემ ზოგიერთი ისეთი ხარბია, რომ საკუთარ აუზს აშენებს და საკუთარ ვეშაპს გაიჩენს. მერე დისერტაციის დაცვასავით მოდაში შემოვა ეს ამბავი და შენ გაიჩერებ ხალხს!

ჩემი თანამედროვეები შეიძლება ვერ მიხვდნენ ამ ნაშრომის და აღმოჩენის სიდიადეს, მაგრამ ვეშაპის რძით გაზრდილი მომავალი თაობები ქება-დიდებით მომიხსენიებენ და შეიძლება ძეგლიც დამიდგან. არა და, თუ დაწესდა ვეშაპის მწვრთნელთა და მწველავთა საპატიო ორდენი, იმას მაინც ხომ გადმირტყამ პირველ რიგში!

მიხა შილდელი

# ბაზრის

ბინა მაქვს ცენტრში, ვერაზე
ვერის ბაზარიც აქვეა,
მწვანილს ფანჯრიდან ვყიდულობ,
განა უბრალო საქმეა.
მწვანილს კი არა, შორს წასვლა,
არც სხვა რამეზე მჭირდება,
ბაზარში ბატი რომ დაფრთხეს,
ჩემს სახლში შემოფრინდება.
საზამთროს მთებიც აქვე მაქვს,
თუკი გავაღე კარები.
ზედ ჩემი სადარბაზოს წინ,
„მღერიან" ბოშა ქალები.
რა გინდა აქ არ ისმოდეს ,
გუგუნი, ჟივილ-ხივილი,
აქეთ ქათმების კრიახი,
იქით მამლების ყივილი.
გოჭების ჭყვიტინ-ჭყვიტინი,
ინდაურების კავ-კავი,
ზედაც დესერტად დართული
საბაზრო სასტვენ-საკრავი.
ნაირ-ნაირი ტრანსპორტი,
„ვოლგა", ურიკა, მარხილი,
ღუღუნა სიგნალები და
„ტკბილი" „ხაბარდას" ძახილი.
ქუჩები მისასვლელები,
ჩახერგილ-ჩაკეტილები,


ნახ. მ. აბაშიძისა

— ცოცხლად შეგვჭამა, ბატონო.
— მადლობა ღმერთს, პატარაობისას სულ წუწუნებდით მადა არა აქვს, არაფერს ჭამსო.



ნახ. ბ. ფირცხალავასი

— დირექტორი არ გჭირდებათ?

# სერენადა

ორჯერ-დილას და საღამოს,
„ზრდილობის" გაკვეთილები.
არც მაღვიძარა მჭირდება,
არც კიდევ ქარხნის საყვირი,
მამლის ყივილზე ფეხზე ვარ
მთელი ოჯახით აყრილი.
წამოვიშლებით განგაშით,
ველარ ვჩერდებით ლოგინში,
წაღმა-უკუღმა ვტრიალებთ
ცისკრის ვარსკვლავის ლოდინში.
გამოვალთ „სუფთა" ჰაერზე,
ბაზრის სურნელით დავდნებით
და ვტკბებით დილის სისხამზე,
სიმღერა-სერენადებით.
ბევრჯერ ვყოფილვართ ბაზარში,
ბევრსაც ვართ გადანაყარი,
მაგრამ ჯერ არსად გვსმენია
ამდენი აყალ-მაყალი.
ბევრი ვთქვით, ბევრიც დავწერეთ,
არც მოგვბეზრდება ჩივილი,
ოღონდაც ვინმემ გაიგოს
ეს ჩვენი გულისტკივილი.

გ. რაჭველიშვილი
ვ. კახელიშვილი


ნახ. ზ. ფორჩხიძისა

— დამისახელეთ ერგატიული კონსტრუქციის რთული ქვეწყობილი წინადადება, გამოჰყავით რელატიურ-გარდაუვალი და რელატიურ-გარდამავალი ზმნები, დამიხასიათეთ მათი ყველა კატეგორია და...
— გოლო-გოლო, მითხარით, არ გიწერ ნიშანსთქო და წავალ!

# გადაცემა ფეხ... საცმლის მაღაზიიდან

ლაპარაკობს და იმპორტულ ფეხსაცმელებს აჩვენებს სექციონერი. ჩვენი კილომეტრიანი რიგი დგას თბილისის ერთ-ერთ სამრეწველო მაღაზიის ფეხსაცმელების სექციაში. აქ ერთმანეთს ხვდებიან მამაკაცის ფეხსაცმელების სექციის გამყიდველები და ფეხსაცმლის საყიდლად თავპირისმტვრევით მოსული მყიდველები. სექცია გამოდის სამი გამყიდველის, სამი მილიციელისა და ერთი სექციონერის შემადგენლობით, ხოლო მყიდველთა გუნდი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულების ნაკრებს წარმოადგენს.

დარბაზში ტევა არაა. ახალი მოდის ყველა გულშემატკივარს აქ მოუყრია თავი.

მიმდინარეობს შეხვედრის მე-5 წუთი. იმპორტული ფეხსაცმელების ყუთი ჯერ არ გახსნილა. მყიდველთა შეტევა თანდათან მძაფრ ხასიათს იღებს. ამ ხუთი წუთის განმავლობაში მათ ბევრჯერ შექმნეს სახიფათო მომენტები დახლთან, მაგრამ წითელსამკლაურიანი სახალხორაზმელები თავგანწირულად იცავენ დახლის მისადგომებს.

შეხვედრის დაწყებიდან მეექვსე წუთზე ფეხსაცმელების ყუთი გახსნა სექციონერმა... დახლზე გამოჩნდა პირველი მაჩვენებელი: ლამაზი, პრიალა, ხუთამოსაბნევიანი მოკასინი. ხალხის ოვაციამ იქაურობა გააყრუა. ასეთი საინტერესო შეხვედრა იშვიათად ახსოვს ქართველ მომხმარებელს.

შეტევა გრძელდება. მყიდველებმა წამოიწყეს ახალი კომბინაცია, აი, სულ ბოლოს, რიგის ცენტრიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით, ვიღაც ახმახი მომხმარებელი დაიძრა წინ, მხრების მიქნევ-მოქნევით თავისუფლად გაარღვია ცენტრი, მშვენივრად გაჭრა და აუარა გვერდი მასზე დაბალ რამდენიმე მოქალაქეს და ღრმად შეიჭრა წეწვა-გლეჯვის არეში. წინა ფლანგის მომხმარებლებმა ცოცხალი კედელი აღმართეს ზურგებით. აყლაყუდა დაიხარა, გააკეთა ცრუმოძრაობა და ფეხქვეშ გაუძვრა წინმდგომ მყიდველს. ამ უკანასკნელმა არ დააყოვნა, სტაცა ქეჩოში ხელი და აყლაყუდა ოსტატურად ჩამოიტოვა უკან. მილიციელმა შეაჩერა გაყიდვა. წესრიგის დამრღვევს გაფრთხილება მიეცა უხეშობისათვის.

ბრძოლა გრძელდება... მკერდზე ბავშვივით ფეხსაცმელმიხუტებული მყიდველები ზიგზაგებით იხევენ უკან, მაგრამ როგორც ცენტრი, ასევე გვერდითი ფლანგები კარგადაა გამაგრებული.

ამასობაში წესრიგის დამცველებისაგან უყურადღებოდ მიტოვებული ერთ-ერთი მოქალაქე დრიბლინგით მოადგა რიგს, დაიჭირა მარცხენა გარემარბის ადგილი, გააკეთა რამდენიმე მესხისებური ფინტი, მეტრეველივით გაიჭრა წინ, შეჩერდა, ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო ფული და ზედ დახლთან გადააწოდა ნაცნობს. ნაცნობმა კარგად გაუგო ჩანაფიქრი, დროულად მიიღო ფული, გადაითვალა და პირდაპირ ხელებში ჩააბარა გამყიდველს... ახლა თითქმის ყველა მომხმარებელი გადავიდა თავდასხმაზე.

ოფლში გახვითქული სექციონერი, რომელმაც მილიციელებთან ერთად ბევრჯერ იხსნა დახლი ალებისაგან, აძლიერებს დაცვას. სექციაში შემოდის კიდევ ერთი გამყიდველი და ორი გადამყიდველი. ეს უკანასკნელები სწრაფი კონტრშეტევებით პასუხობენ მოწინააღმდეგეებს, ათავისუფლებენ დახლის მისადგომებს, ერთგვარად აძლიერებენ გამყიდველთა პოზიციებს და თითების ორიგინალური სასტვენით აკავებენ კომბინაციებში გართულ გამყიდველებს და მყიდველებს. (საერთოდ ვაჭრობის მუშაკები ბევრს სცოდავენ გადაცემებში. მათ მიერ ზუსტად გადაწოდებული საქონელი ხშირად ხვდება არა მყიდველის, არამედ გადამყიდველების ხელში).

შეხვედრის მეცხრე წუთზე ფეხსაცმელების ყუთების რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. დაეცა გაყიდვის ტემპიც...

აქ კი გაისმის მილიციელის ხანგრძლივი სასტვენის ხმა და სექციონერი ხელებს მაღლა მართავს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ეს საინტერესო ორთაბრძოლა დამთავრებულია. თუმცა შეხვედრა მიმდინარეობდა მომხმარებელთა აშკარა რიცხობრივი და ძალობრივი უპირატესობით, მაგრამ, როგორც ნამდვილ სტადიონზე ხდება ხოლმე, დამთავრდა იგი გამყიდველთა და გადამყიდველთა სასარგებლოდ.

დახლიდან-კარებამდე იმპორტული ფეხსაცმელების გულშემატკივრები მიჰყავდათ მილიციელებს, ხოლო გადაცემა —

ვანო ცინცაძე

ნახ. ჯ. ლოლუასი




— ცნობათა ბიუროა?.. მითხარით, რა ნომერზე დავრეკო რომ 07-ში მოვხვდე?

ნახ. ლ. მართაშვილისა



ფაქტიური დანახარჯის საანგარიშო „ჩოთქი“-მაყალი.

ნახ. ი. [illegible]



უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 693
15.XI 1968

# წერილები ნიანგს



### ძვირფასო ნიანგო!

ქალაქ რუსთავის გორის ქუჩის მცხოვრებლე ბი გაწუხებთ. ჩვენი ქუჩა ჩვენი ქალაქივით ახალგაზრდაა. მას სულ თოთხმეტი წლის ისტორია აქვს, მაგრამ ამ თოთხმეტ წელში რამდენი დავიდარაბა გადაგვხდა, ნუღარ იკითხავ. საკმარისია ცოტათი მაინც წამოწვიმოს, რომ ჩვენი ქუჩა მდინარედ იქცეს და სახლის სახურავები მდინარის სანაპიროდ. ბევრგან მივმართეთ, მაგრამ არაფერი გვეშველა. ბოლოს ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ: გამოიყოს ერთი კაცი ღრუბლების მეთვალყურედ. რა თქმა უნდა, ხელფასს დავუნიშნავთ. მისი მოვალეობა იქნება იყუროს ცაში, როგორც კი შენიშნავს საწვიმარ ღრუბლებს, ატეხოს განგაში. რათა მცირეწლოვან ბავშვებითა და ძვირფასი ნივთებით დროულად გავიხიზნოთ ქალაქის ცენტრში ან სახლის სახურავებზე.

რას იტყვით ცუდი მოფიქრებაა?

პატივისცემით თქვენი რუსთაველი
გორის ქუჩელები



### საყვარელო ნიანგო!

ერთ ამოცანას გამოგიგზავნით, იქნებ დაგვეხმარო და ამოგვიხსნა. ამოცანა ასეთია: ხარაგოულიდან სოფელ კიცხამდე რვა კილომეტრია. ამ გზას რვა წელიწადია აკეთებენ და ჯერაც არ დაუმთავრებიათ. ამოცანა გვეკითხება: ვის ეხება ამ გზის მშენებლობა და რამდენი წელი დასჭირდება სოფელ კიცხიდან ხარაგოულამდე გზის კეთილმოწყობას?

შენი ჭირიმე, ნიანგო, ეს საშინაო დავალება დროზე შეგვისრულე და პასუხი სასწრაფოდ შეგვატყობინე.

კიცხელები



### ჩვენო ნიანგო!

როგორ გიკითხოთ, ხომ კარგად ბრძანდებით? ჩვენს ამბავს თუ იკითხავთ, ვართ რა, არა გვიშავს, ეს არის მხოლოდ, ჩვენს ამბავს არავინ კითხულობს. უგზოობის გამო ტრანსპორტი არ გვაქვს, არც კანალიზაციით ვართ განებივრებულები და წყლის დასალევად მარტო თებრონე კი არ მიდის წყალზედა, მთელი ქუჩა ნახევარი კილომეტრის მოშორებით დავდივართ ვედროებითა და ჩაიდნებით ხელდამშვენებულები.

წინანურის ქუჩის უწყალოდ დაჩაგრული
მოგინადრეები

---

ამა წლის ჟურნალ „ნიანგში“ (№ 9) დაბეჭდილი იყო გ. მეტრეველის წერილი „სოფლის სამდურავი“, რომელიც შეეხებოდა გორის რაიონის სოფელ ნიქოზის სასოფლო საბჭოს მიერ კომლთა სიიდან არჩილ მინდიაშვილის ამოწერას.

წერილში დაშვებული იყო ზოგიერთი შეცდომა, რის გამოც ავტორი დაისაჯა.

ნახ. მ. აბაშიძისა



— ნახევარი ბილეთი რომ აგიღია, ბავში ხარ?
— ნახევარ ადგილზე ბავში დაწვება თუ კაცი, შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

ნახ. ნ. მანუკიანისა



უსიტყვოდ.

ნახ. ი. თაქთაქიშვილისა.




— ერთი საათია მწვანე სინათლეს ველოდები!

მთავარი
რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. ბოლქვაძე
(პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
გ. ნიშნიანიძე,
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

ნიანგი

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.
ტელ: რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.
სხვათა განყოფილებების 93-10-78.

Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги».
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 4/XI 1968 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 1 ნაბ. ფურც. 1,4. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 1. პირობით ფორმათა რაოდ. 2. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 3873. უე 02553. ტირაჟი 89.400.

ИНДЕКС 76137

68-693
1/1968
ეროვნული ბიბლიოთეკა




„ანტიამერიკული მოღვაწეობის“ გამომკვლევმა კომისიამ დაიწყო გამოძიება დემოკრატიული პარტიის ყრილობის დღეებში ჩიკაგოში მოწყობილ მასობრივ დემონსტრაციებში ეგრეთ წოდებული „ძირგამომთხრელი ელემენტების“ მონაწილეობის შესახებ.

ვიეტნამში ამერიკული აგრესიისა და პრეზიდენტის არჩევნებში ანტიდემოკრატიული პროცედურების წინააღმდეგ მიმართული ამერიკელი ახალგაზრდების მრავალათასიანი მიტინგები და მანიფესტაციები, მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ, ჩიკაგოს მერის დეილის ბრძანებით სისხლით შეღებეს. ახლა ამერიკული მართლმსაჯულება მათ ახალ სასჯელს უმზადებს.

**ამერიკული „მართლ“ მსაჯულება**

ნახ. გ. ლომიძისა